

# ტესტი ისტორიაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-24. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა არის ქორონიკონის სახელწოდებით ცნობილი წელთაღრიცხვის სისტემის ერთ-ერთი საფუძველი?


ა) ძველი ებრაული კალენდარი;

ბ) 780 წლიანი ციკლი;

გ) რომაული კალენდარი;

დ) 532 წლიანი ციკლი.

2. რომელი დისციპლინა შეისწავლის ილუსტრაციაზე გამოსახულ ისტორიულ წყაროს?



- ა) ონომასტიკა;
- ბ) ეპიგრაფიკა;
- გ) ჰერალდიკა;
- დ) ვექსილოლოგია.

### 3. რომელი მსჯელობაა მართებული კონფუციანელობის შესახებ?

- ა) კონფუციანელობა ერთგვარი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც ჩინეთში აღმოცენდა ძვ. წ. VI-V საუკუნეებში;
- ბ) კონფუციანელობა პირველი მონოთეისტური რელიგიაა, რომელსაც საფუძველი ჩინეთში ჩაეყარა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე;
- გ) კონფუციანელობა ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ჩინეთის სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია იყო, რომელიც იმპერატორის ღვთაებრიობას აღიარებდა;
- დ) კონფუციანელობის სახელით ცნობილი მეზრძოლთა ეთიკური კოდექსი ჩინეთში გაავრცელეს იაპონელმა ბერებმა.

#### 4. რომელი ქვეყნის საზოგადოება იყოფოდა ვარნებად?

- ა) ბაბილონის;
- ბ) იაპონიის;
- გ) ინდოეთის;
- დ) სპარსეთის.

## 5. რა შედეგით დასრულდა ქადემის ბრძოლა?

- ა) ეგვიპტელებმა სასტიკად დაამარცხეს ხეთები და გაბატონდნენ სირია-პალესტინაში;
- ბ) ხეთების ჯარმა შეძლო ეგვიპტელთა დამარცხება და ისინი განდევნა სირიიდან;
- გ) გამოკვეთილ წარმატებას ვერავინ მიაღწია და ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის ზავი დაიდო;
- დ) სპარსელთა ჯარის გამოჩენამ ეგვიპტელებსაც და ხეთებსაც უკანდახევა აიძულა.

6. ძველი აღმოსავლეთის რომელი ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭეა აღბეჭდილი ფოტოზე?



- ა) ალექსანდრიის;
- ბ) ბაბილონის;
- გ) მემფისის;
- დ) პერსეპოლისის.



7. რომელ ქართულ ნარატიულ წყაროშია დაცული ერთ-ერთი ცნობა ქართველთა წარმომავლობის შესახებ?

ა) „ამბავნი ქართლისანი“;

ბ) „ძეგლი ერისთავთა“;

გ) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“;

დ) „ასწლოვანი მატიანე“.

8. ვინ იყო ძვ. წ. აღ-ის V საუკუნეში ათენში მოღვაწე ფიდიასი?

- ა) დრამატურგი;
- ბ) მოქანდაკე;
- გ) პოლიტიკოსი;
- დ) ფილოსოფოსი.

9. ვისა და ვის შორის მომხდარი დაპირისპირებით იწყება სამოქალაქო ომების ეპოქა რომის რესპუბლიკაში?

ა) მარიუსსა და სულას;

ბ) სერტორიუსსა და კრასუსს;

გ) პომპეუსსა და ლუკულუსს;

დ) ოქტავიუსსა და ანტონიუსს.

## 10. რა დანიშნულება ჰქონდა ადრიანეს კედელს ანტიკურ ხანაში?

- ა) იცავდა რომის იმპერიის სამფლობელოებს დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარე ტომების შემოჭრისაგან;
- ბ) კეტავდა ალპებსა და ადრიატიკის ზღვას შორის მდებარე ვიწრო ზოლს მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან;
- გ) გარს ერტყა ქალაქ რომს და დიდი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფდა დედაქალაქის უსაფრთხოებას;
- დ) იცავდა რომაულ პროვინციას ბრიტანეთს ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხის თავდასხმებისაგან.

## 11. როდის გამოიყენეს პირველად ე. წ. ბერძნული ცეცხლი?

- ა) ბიზანტია-ირანის ომის დროს;
- ბ) ნორმანების თავდასხმებისას;
- გ) არაბთაგან კონსტანტინოპოლის ალყის დროს;
- დ) ნიკეაზე თურქ-სელჩუკთა თავდასხმისას.

12. რა ეწოდება ფრანკთა იმპერიაში IX საუკუნის დასაწყისში დაწყებულ კულტურულ-საგანმანათლებლო აღმავლობას?

- ა) კაროლინგური რენესანსი;
- ბ) ევროპული გამოღვიძება;
- გ) ადრეული ჰუმანიზმი;
- დ) მეროვინგული რეფორმაცია.

13. ვისი ქვეშევრდომი იყო უილიამ დამპყრობელი, რომელმაც 1066 წელს ინგლისი დაიპყრო?

ა) საღვთო რომის იმპერატორის;

ბ) ფრანკთა იმპერატორის;

გ) ესპანეთის მეფის;

დ) საფრანგეთის მეფის.

14. რა ერქვა ვაჭართა გაერთიანებებს შუა საუკუნეების ევროპულ ქალაქებში?

ა) უნია;

ბ) გილდია;

გ) ორდენი;

დ) ამქარი.



15. სხვა საკითხებთან ერთად, რას ისახავდა მიზნად დავით აღმაშენებელი, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და მძევლები გამოართვა ოსებს?

- ა) საქართველოზე მომთაბარეების მარბიელი თავდასხმების შეწყვეტას;
- ბ) ყივჩაღებისათვის საქართველოსკენ უსაფრთხო გზის უზრუნველყოფას;
- გ) ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლაში ალანთა დაქირავებული ჯარის გამოყენებას;
- დ) ოსების მიერ ქრისტიანობის მიღების პირობის შესრულებას.

## 16. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ასწლიანი ომი?

- ა) საფრანგეთის მეფის მიერ ნორმანდიის საჰერცოგოს დამორჩილებამ;
- ბ) ინგლისის მეფის პრეტენზიამ, დაეკავებინა საფრანგეთის ტახტი;
- გ) საფრანგეთის მცდელობამ, დაეხურა ნავსადგურები ინგლისის გემებისათვის;
- დ) ინგლისის სწრაფვამ, შეექმნა კოალიცია ჰაბსბურგებთან ერთად.

## 17. რა იყო „უძლეველი არმადის“ მიზანი?

- ა) ინგლისის დამარცხება;
- ბ) ოსმალთა თავდასხმების აღკვეთა;
- გ) პორტუგალიის ფლოტის განადგურება;
- დ) საფრანგეთის საზღვაო ბლოკადა.

18. სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ იყო მნიშვნელოვანი ესპანელ ჰაბსბურგთათვის ნიდერლანდების ფლობა?

- ა) მის სანაპიროზე მდებარე ციხე-სიმაგრეები აკონტროლებდა ლა-მანშის სრუტეს;
- ბ) აქ მდებარეობდა ძვირფასი ლითონით მდიდარი საბადოები;
- გ) წარმოადგენდა პლაცდარმს საღვთო რომის იმპერიის წინააღმდეგ;
- დ) მდიდარი პროვინცია იყო და დიდ შემოსავალს იძლეოდა ხაზინისათვის.

19. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი აბსოლუტიზმის კრიზისს საფრანგეთში?

- ა) კარდინალ მაზარინის მმართველობამ;
- ბ) განმანათლებლების მოღვაწეობამ;
- გ) ჟაკერიად წოდებულმა გლეხთა ომმა;
- დ) გენერალური შტატების დაარსებამ.

20. რა იყო პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას განხორციელებული ჰალიპოლის სამხედრო ოპერაციის მიზანი?

ა) გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარის ნაწილების მიერ ბელგიის დაკავება და საფრანგეთისათვის ჩრდილოეთიდან შეტევა;

ბ) საფრანგეთში მოკავშირე ინგლისელების ძლიერი დესანტის გადასხმა და პარიზზე გერმანელთა შეტევის მოგერიება;

გ) ინგლისისა და საფრანგეთის სადესანტო ნაწილების მიერ დარდანელის სრუტის გახსნა მოკავშირეთა სამხედრო ხომალდებისათვის;

დ) რუსეთის ჯარის მიერ ანატოლიის დაკავება და პლაცდარმის შექმნა ანკარაზე იერიშის მისატანად.

## 21. რომელი მსჯელობაა მართებული 1920 წელს საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით?

- ა) საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაპყრობისა და საქართველოს ოკუპაციის მცდელობის გამო ინტერნაციონალმა შექმნა კომისია, რომელსაც ზავის დადებისთვის ხელი უნდა შეეწყო;
- ბ) საქართველოს ერთა ლიგაში მიღების წინ ევროპელმა სოციალისტებმა, რომელთა ნაწილი ერთა ლიგის დელეგატიც იყო, გადაწყვიტეს უფრო კარგად გაცნობოდნენ სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას და წარმომადგენლები გამოგზავნეს;
- გ) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ინტერნაციონალს დახმარება სთხოვა კონსტიტუციის შემუშავებაში და საქართველოში ჩამოსულ დელეგაციის წევრებს სწორედ ამ საკითხზე უნდა გაეწიათ კონსულტაცია;
- დ) საქართველო იყო პირველი სახელმწიფო ევროპაში, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალისტები მოვიდნენ და ევროპელი სოციალისტების ვიზიტი მხარდაჭერის გამოხატვისა და გაცნობითი ხასიათის იყო.

22. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაპატიმრება?

ა) კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი წერილის გაგზავნამ, რომელშიც საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანასა და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა;

ბ) სამღვდელოების აქტიურმა მონაწილეობამ ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში და ამ საქმეში კათოლიკოს-პატრიარქის პირდაპირმა მხარდაჭერამ;

გ) კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევამ, სადაც კომუნისტები დაწყველეს და მრევლს მათ წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდეს;

დ) სინოდის გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც საეკლესიო საგანძურის ნაწილი საზღვარგარეთ გაიტანეს და ნაწილი მონასტრებში გადამალეს.



### 23. რა იდეის მატარებელია წარმოდგენილი პლაკატი?



- ა) სტალინი და ჰიტლერი ერთიდაიმავე პოლიტიკური იდეოლოგიის ორი სახეა;
- ბ) სსრკ და მესამე რაიხი ერთობლივად იბრძოდნენ ანტანტის წინააღმდეგ;
- გ) კომუნიზმი და ნაციზმი ორივე ტოტალიტარული რეჟიმებია;
- დ) დასავლეთი და აღმოსავლეთი დაპირისპირებული ცივილიზაციებია.

24. რა მოიმიქმედა აშშ-მ კუბაზე საბჭოთა რაკეტების აღმოჩენის შემდეგ?

- ა) სამხედრო ხომალდებით მოაწყო კუბის საზღვაო ბლოკადა;
- ბ) სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა;
- გ) საბერძნეთსა და თურქეთში რაკეტები განათავსა;
- დ) კუბაზე გადატრიალების მოწყობა სცადა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 25-28.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

## 25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ პაპობის ისტორიაში განვითარებული მოვლენები.

1. დაპირისპირება გრიგოლ VII-სა და იმპერატორს შორის
2. ფილიპე IV-ის მიერ პაპის რეზიდენციის გადატანა ავინიონში
3. ურბან II-ს მოწოდება წმინდა მიწის გასათავისუფლებლად

## 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მონღოლთა დაპყრობებთან დაკავშირებული მოვლენები.

1. ლაშქრობა პოლონეთსა და უნგრეთში
2. ხორეზმის დაპყრობა
3. ბრძოლები ეგვიპტელ მამლუქებთან

## 27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ნაშრომები მათი შექმნის დროის მიხედვით.

1. სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“
2. ვახტანგ VI-ის „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“
3. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დღეს არსებული არქიტექტურული ძეგლები მათი აგების დროის მიხედვით.

1. ბატონის ციხე თელავში
2. დადიანების სასახლე ზუგდიდში
3. დარეჯან დედოფლის სასახლე თბილისში

ინსტრუქცია დავალებისათვის № 29.

მოსწავლეს მიეცა რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.


მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხებში ორი (2) შეცდომაა.

თქვენ უნდა იპოვოთ ეს შეცდომები, გადმოწეროთ ის პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე







კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

**მოსწავლისათვის დასმული კითხვები:**

29.1. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს საომარი მოქმედებები მოცემულ რუკაზე?

29.2. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფოებმა განახორციელეს სამხედრო აგრესია?

29.3. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფომ განახორციელა სამხედრო აგრესია პირველად? აუცილებლად განმარტეთ, რუკაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

29.4. რომელი სახელმწიფო დამარცხდა რუკაზე გამოსახულ საომარ მოქმედებებში? აუცილებლად განმარტეთ, რუკაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

29.5. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოები არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში?

**მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:**

29.1. პოლონეთის.

29.2. ნაცისტურმა გერმანიამ და საბჭოთა რუსეთმა.

29.3. ნაცისტურმა გერმანიამ, რუკის ლეგენდის მიხედვით, მან 1 სექტემბერს დაიწყო სამხედრო აგრესია.

29.4. პოლონეთი, მან დაკარგა ტერიტორიის ნაწილი.

29.5. ლიტვა და სლოვაკეთი.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.


დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 30.



N1



N2



N3

ილუსტრაციებზე ასახულია ერთ-ერთ ევროპულ სახელმწიფოში XVIII საუკუნის ბოლოს განვითარებული პროცესის სამი ეპიზოდი.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(2) **30.1.** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს იმ ერთ-ერთ მიზეზს, რომელმაც განაპირობა ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული პროცესის დაწყება და ილუსტრაციის მიხედვით, რა იყო ეს მიზეზი?

(2) **30.2.** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს ისტორიული პროცესის წარმოდგენილი ეპიზოდებიდან მეორეს და ილუსტრაციის მიხედვით, რა იყო ამ ეტაპის უმთავრესი მახასიათებელი?

(2) **30.3.** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს, წარმოდგენილი ეპიზოდებიდან, ყველაზე გვიანდელ მოვლენას? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **30.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემის სათაური, რომლის დროსაც გამოიყენებდით სამივე ილუსტრაციას.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 19.

დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



## რაინდული ღირსების კოდექსი (ფრანგული პოემა „რაინდობის წესები“-ს მიხედვით)

რაინდული ღირსების კოდექსი სავალდებულოა ყველა იმ კეთილშობილი წარმომავლობის პირისათვის, ვინც მიიჩნევა რაინდად.

რაინდული ღირსების კოდექსის დარღვევის შემთხვევაში რაინდის ბედს გადაწყვეტს სენიორი, რომლის ვასალიც იგი თავადაა.

სენიორის ნების შეუსრულებლობის შემთხვევაში რაინდი მაშინვე დაკარგავს კეთილშობილის ტიტულს, ყველა მიწასა და პრივილეგიას.

თითოეულმა რაინდმა საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდა დაიცვას საკუთარი სიუზერენის სიცოცხლე.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

თითოეულმა რაინდმა უნდა შეასრულოს მიცემული სიტყვა.

ყველა რაინდს უნდა ჰქონდეს სიგელი, რომელიც მის კეთილშობილურ წარმომავლობას ადასტურებს.

თითოეულმა რაინდმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტურნირებში, რომლებშიც საკუთარ თავს წარმოაჩენს.

რაინდმა არ უნდა ავნოს უიარალო ადამიანს.

რაინდმა არ უნდა ავნოს თავისზე ნაკლებად შეიარაღებულ ადამიანს, თუ ეს არ ხდება ბრძოლის ველზე.

რაინდი კეთილი და მიმტევებელი უნდა იყოს სუსტის მიმართ და დაეხმაროს მათ, ვინც შველას ითხოვს.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

რაინდი დაუნდობელი უნდა იყოს როგორც საკუთარი და სიუზერენის მტრების, ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვებს ვნებასა და ბოროტებას აყენებენ.

რაინდი თავაზიანი უნდა იყოს კეთილშობილი ქალების მიმართ.

თუ რაინდებს შორის კამათი მოხდა და ერთმა მეორეს სიტყვით ან საქციელთ შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ შეურაცხყოფილს შეუძლია, საკუთარი ღირსების დასაკმაყოფილებლად მოწმეების თანდასწრებით ბრძოლაში შერკინება მოითხოვოს, ან შეურაცხმყოფელმა უკან უნდა წაიღოს თავისი სიტყვები და საქციელისთვის პატიება ითხოვოს.

რაინდთა ტურნირზე უღირსი ილეთების გამოყენება აკრძალულია.

რაინდისთვის ყველაზე საძულველი საქციელი ღალატია.

ღირსეულ შებრძოლებაში რაინდს არა აქვს უფლება, გაუსწორდეს დაცემულ ან შეწყალების მთხოვნელ მოწინააღმდეგეს.

რაინდი დაუნდობლად უნდა გაუსწორდეს სიუზერენის, ქალბატონისა და საკუთარი ღირსების შემლახავს.

ამ ქცევის წესების დამრღვევს რაინდული ღირსების კოდექსის არცოდნა ბრალს არ შეუმსუბუქებს.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**



### *კითხვები:*

(1) **31.1.** კოდექსის ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ ორი ურთიერთდაკავშირებული პირობა, რომლებიც აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა პიროვნებას, რათა რაინდად მიჩნეულიყო.

(1) **31.2.** კოდექსის ტექსტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა ემუქრებოდა რაინდს სიუზერენის ნების შეუსრულებლობისას.

(1) **31.3.** თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა რაინდისთვის ტურნირებში მონაწილეობას, საკუთარი თავის წარმოჩენის გარდა?

(1) **31.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული მიზეზი, რომელმაც განაპირობა რაინდობის წარმოშობა დასავლეთ ევროპაში.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

(2) **31.5.** რა საკითხთან დაკავშირებით ითვალისწინებს კოდექსი გამონაკლისს და თქვენი აზრით, რატომ?

(2) **31.6.** დოკუმენტის მიხედვით, რა მოხდებოდა, თუ რაინდი კოდექსს დაარღვევდა და არსებობდა თუ არა მისი ბრალეულობის შემამსუბუქებელი გარემოება? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ მოცემულ წყაროზე დაყრდნობით.

(2) **31.7.** უშვებდა თუ არა კოდექსი რაინდთა შორის უთანხმოებას და როგორ წყდებოდა ეს საკითხი?

(2) **31.8.** კოდექსის ტექსტის მიხედვით, რა მიიჩნეოდა რაინდის ყველაზე დიდ დანაშაულად და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

(2) **31.9.** რა სახელწოდებითაა ცნობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებსაც ასახავს მოცემული დოკუმენტი და დოკუმენტში არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(2) **31.10.** რომელ ქალაქში და რომელ საუკუნეში ჩამოყალიბდა პირველი სასულიერო-სარაინდო ორდენები?

(3) **31.11.** კოდექსის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ ვის წინააღმდეგ არ უნდა გამოეყენებინა ძალა (ევნო, გასწორებოდა) რაინდს და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

ინსტრუქცია დავალებისათვის № 32. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

## დავალება 32. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) **32.1.** რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით №31 დავალებაში მოცემულ ისტორიულ წყაროს?

(1) **32.2.** გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) **32.3.** ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.